პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 თებერვალი, შაბათი, 1988 წ. № 26 (9687) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს ნომერშია: სსრ კავშირის ჩემპიონატები ძიუდოში, წყალბურთსა და ფარიკაობაში ⊙ რეპორტაჟი კლასიკურ ჭიდაობაში მწვრთნელთა საბჭოს გაფართოებული სხდომიდან ⊙ ველოსიპედისტთა და მოფარიკა-ეთა ტურნირები ⊙ უეფა-ს სანქციების მიზეზები.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირი

## ლიდერი განაგრძობს წინსვლას

**3 და 4 თებერვალს წყალტუბოს საკონცერტო დარბაზ „ივერიაში", სადაც მიმდინარეობს პრეტენდენტ ქალთა ტურნირი ჭადრაკში, გაიმართა VI ტურის შეხვედრები და გადადებული პარტიების დამთავრება.**

ამ ტურში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ერთპიროვნული ლიდერის მარტა ლიტინსკაიასა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ნანა იოსელიანის შეხვედრამ. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა ამ დღეს დარბაზში თავი და ყველას ერთი შეკითხვა აღელვებდა — შეძლებდა თუ არა იოსელიანი ლვოველი დიდოსტატის წინსვლის შეჩერებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ქომაგები შეუპოვარი, უკომპრომისო ორთაბრძოლის მოწმენი ვერ გახდნენ, რადგან ქართველმა მოჭადრაკემ, რომელიც თეთრი ფიგურებით თამაშობდა, ვერ შეძლო ესპა-

იხ. მე-4 გვ.



წყალტუბო, ჭადრაკის მოყვარულები ფოიეში.

## კობა კურტანიძე ოთხგზის ჩემპიონია

**ალმა-ათა.** საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ჩემპიონატს, რომელიც ყაზახეთის დედაქალაქში ტარდება, წლევანდელ ოლიმპიურ სეზონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამიტომ, ასპარეზობაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი ათლეტი. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის 150 ძიუდოისტი იბრძვის.

ტრადიციისამებრ პირველ დღეს ერთმანეთს მძიმე და ქვემძიმე წონის მოჭიდავეები ეჯიბრებოდნენ. მძიმე წონის ათლეტთა ტურნირში ყველა შეხვედრა მოიგეს და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს ევროპის ორგზის ჩემპიონმა, კუიბიშეველმა ხაბილ ბიკთაშევმა და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა მძიმეწონოსანმა ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ. გადამწყვეტი შეხვედრა ბიკთაშევმა უკეთ ჩაატარა და ოქროს მედალი მოიპოვა, კიბორძალიძეს ვერცხლის მედალი ერგო, ბრინჯაოს ჯილდო კი დნეპროპეტროვსკელ ოლეგ ზინჩენკოსა და კუიბიშეველ სერგეი კოსოროტოვს გადაეცათ.



ქვემძიმე წონაში 24 წლის გორელ კობა კურტანიძის უპირატესობა აშკარა იყო. ეს უპირატესობა განსაკუთრებით ფინალურ შეხვედრაში გამოიკვეთა, რომელიც ქართველმა ძიუდოისტმა წმინდად მოუგო მოსკოველ იური პარშინს. კობა კურტანიძე მეოთხედ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.

აღნიშნულ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლები ჩირჩიკელ დმიტრი სოლოვიოვს (უზბეკეთი) და კაუნასელ პიტარას მასკოლიუნასს ხვდათ.

შეჯიბრება, რომელშიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ძიუდოისტები გამოდიან ხვალ, 7 თებერვალს დამთავრდება.

საერთაშორისო ტურნირი ველოსპორტში

## ოთარ მჭედლიშვილი კვლავ მესამე იყო

**მოსკოვი. კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე დამთავრდა ველოსიპედისტთა დიდი ტურნირი — „აეროფლოტის პრიზის" გათამაშება ოლიმპიურ სახეობებში.**

შეჯიბრების ბოლო დღეს მოეწყო სპრინტერთა შეჯიბრება, რომელშიც თავი გამოიჩინა 23 წლის მსოფლიო რეკორდსმენმა, მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა. მან ყველა რბოლა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ფრუნზელი სერგეი იგნატოვი და თბილისელი ოთარ მჭედლიშვილი.

ქალთა სპრინტში ადგილები განაწილდა ასე: 1. ერიკა სალუმიაე (ტალინი), 2. გალინა ცარიოვა (ლენინგრადი), 3. იზაბელ გოტერონი (საფრანგეთი).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფრანგ ველოსიპედისტს ამ შეჯიბრებისთვის ამზადებდა ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი, ქვეყნის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი დანიელ მორელონი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ველოსიპედისტების გამოსვლას. მას განსაკუთრებით მოეწონა ნიკოლოზ კოვში, იგი ჩვენს გუნდში უძლიერეს ოლიმპიელად მიიჩნია. მორელონის აზრით კოვშმა სეზონის დასაწყისისთვის საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა 200 მეტრზე გიტში (სვლით) — 10,117.

სპრინტერთა უახლოესი შეჯიბრება 10-14 თებერვალს ჩატარდება. ეს იქნება ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი. ოლიმპიური სამზადისის პირველ ეტაპად სსრ კავშირის თასის გათამაშებაა დასახელებული, რომელიც 21-25 მაისს გაიმართება. მანამდე კი მოეწყობა შეჯიბრება საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე (12-14 მაისი). ჩვენი სპრინტერები მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, პარიზის (9-15 ივნისი) და მილანის (10-16 ივლისი) დიდი პრიზების გათამაშებაში.

ოლიმპიური საგზურები საბოლოოდ 22-27 აგვისტოს საკავშირო ჩემპიონატში განაწილდება.

იუნიორ მოფარიკავეთა საკავშირო პირველობა

## ცხრა წლის შემდეგ

**ახლანდელ პერიოდში, განსაკუთრებით კი ოლიმპიური წელიწადის შემდეგ, ნაკრები გუნდების შემადგენლობა ხშირად იცვლება — ვეტერანები სარბიელს ახალგაზრდებს უთმობენ. ნაკრების მწვრთნელები ყურადღებით იცქირებიან რეზერვისაკენ, საგულდაგულოდ ჩხრეკენ თითოეული პერსპექტიული ახალგაზრდის შესაძლებლობებს.**

მთელი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ახალგაზრდა მოფარიკავეები მონაწილეობენ ამჟამად თბილისში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტკლუბის ახალ დარბაზში მიმდინარე პირველობაში, კარზეა მომდგარი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი (მარტი, აშშ) და არავის სურს ხელიდან გაუშვას ნაკრებში მოხვედრის შანსი. შეხვედრები მეტად მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობს — თითოეულ სახეობაში 72 ახალგაზრდა მუშკეტერი გამოდის (1968-70 წელს დაბადებულნი) და კონკურენცია მეტად დიდია. თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთ ახალგაზრდას ქვეყნის პირველი ნაკრების (უფროსების) მწვრთნელებმა დაადგეს თვალი.

ტარდება მხოლოდ პირადი პირველობა. უკვე დამთავრდა ბრძოლა ორ სახეობაში — ხმლითა და რაპირით ფარიკაობაში (ჭაბუკები). რაპირისტთა შორის უძლიერესის სახელი თბილისელმა ოლეგ ჩერნიშოვმა მოიხვეჭა. ვინც ჩვენს ფარიკაობას იცნობს, მან იცის, რომ ასეთი „50-პროცენტიანი" შედეგი ჩვენი სპორტსმენებისათვის ურიგო არ არის. ოლეგ ჩერნიშოვის გამოსვლა მართლაც შესანიშნავი იყო, მაგრამ საერთოდ, გუნდის სხვა წევრთა შედეგებს ვგულისხმობთ, მეტის იმედი გვქონდა. ხმლით მოფარიკავეთა შეჯიბრების ფინალში ვერც ერთი ქართველი სპორტსმენი ვერ მოხვდა. თუმცა ჯობს, თანმიმდევრულად მივყვეთ.

საბჭოთა კავშირის იუნიორთა პირველობა ყოველ მეორე წელიწადს ტარდება ხან უწყებათა, ხან რესპუბლიკების გუნდებს შორის. ამჯერად თბილისში არმიის სპორტული კლუბის, პროფკავშირებისა და „დინამოს" ნაკრები კოლექტივები ჩამოვიდნენ. საქართველოს რამდენიმე სპორტსმენი თავისი სპორტსაზოგადოების ნაკრების ღირსებას იცავდა, გარდა ამისა, ჩვენს გუნდს, როგორც პირველობის მასპინძელს, უფლება მისცეს თითოეულ სახეობაში კიდევ 6 სპორტსმენი გამოეყვანა.

ჩვენი 11 რაპირისტიდან, რომლებიც შეჯიბრებაში ჩაებნენ, ფინალამდე მხოლოდ ოლეგ ჩერნი-

იხ. მე-3 გვ.



ოლეგ ჩერნიშოვი.

### ვინ რას ირჩევს

**„ლელოს"** გუშინწინდელმა და გუშინდელმა ფოსტამ კვლავ მოიტანა წერილები, სადაც საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებისათვის სახელის შერჩევასთან დაკავშირებით თავიანთ წინადადებებს გვიზიარებენ მკითხველები. „1908-09 წლებში თბილისში გამოდიოდა გაზეთი „ფასკუნჯი", რომელიც აშუქებდა ლიტერატურის, ხელოვნების, მუსიკის და თეატრის საკითხებს. იქნებ ეს სახელი აღვადგინოთ?"—გვწერს თბილისელი ქ. გოცირიძე. დედაქალაქის 47-ე სკოლის დირექტორი რეზო სვანიძე და გორის ეკონომიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე გივი ხაჩიძე კი მიიჩნევენ, რომ ყველაზე უპრიანია საზოგადოებას დაერქვას „ამირანი". აკადემიკოსი სარგის ცაიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რეზო გაბრიაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნუგზარ ასათიანი და გურამ კოსტავა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი როინ დობორჯგინიძე მოითხოვენ სპორტსაზოგადოებას ვუწოდოთ „შევარდენი".

### ინფორმაცია

**დასრულდა** ჯავაჰარლალ ნერუს VII მემორიალური საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. საბჭოთა ოლიმპიურმა ნაკრებმა ფინალურ მატჩში დაამარცხა პოლონეთის ნაკრები ანგარიშით 2:0 და დაეუფლა საპატიო პრიზს.

**ჰოლანდიის** ქალაქ ვეიკ-ან-ზეეს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვების შემდეგ ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი ბელგრადში ე. წ. სწრაფ ჭადრაკში შეხვდა ცნობილ იუგოსლაველ დიდოსტატს ლიუბომირ ლიუბოევიჩს. ამ ამხანაგურ მატჩში 6 პარტია გათამაშდა, თითოეული შეხვედრისთვის მეტოქეებს გამოყოფილი ჰქონდათ სულ 30-წუთი. ორთაბრძოლა, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა, დამთავრდა კარპოვის გამარჯვებით — 3,5:2,5. მსოფლიოს ექსჩემპიონმა მოიგო მეოთხე პარტია, დანარჩენი ხუთი ყაიმით დამთავრდა.

### ელვა-ინფორმაცია

**ალმა-ათა. სსრ კავშირის ძიუდოისტთა ჩემპიონატზე 78 კგ-მდე მოჭიდავეთა შორის გორელმა ენგური გოგიჩაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

### ერთპიროვნული ლიდერი

**სამტრედიაში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.**

9 ტურის შემდეგ 8 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ოსტატობის კანდიდატი სერგო მინასიანი. მას თითო-თითო ქულით ჩამორჩებიან ოსტატობის კანდიდატები რეზო დადიანი (ორივე — აფხაზეთი) და მერაბ არჩვაძე (სამტრედია).

6,5-6,5 ქულით მათ კვალში მიჰყვებიან ოსტატობის კანდიდატები შოთა მასხარაშვილი, შოთა კუპუხიძე (ორივე — ქუთაისი), ფელიქს მელქონიანი (ბათუმი), კახა თათარაშვილი (ცხაკაია) და თემურ ვალიევი (ცხინვალი).

შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური დარჩა.

**ბექან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

# ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ

ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲔᲑᲖᲔ — ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ!

## ᲐᲜᲣ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ

თბილისში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საქართველოს სპორტსახკომის სააქტო დარბაზში გაიმართა კამათი ამ შეჯიბრების შედეგების ირგვლივ და საერთოდ კლასიკურ ჭიდაობაში შექმნილ მდგომარეობაზე. ცნობილია, ჩემპიონატში ჩვენი მოჭიდავეები ფაქტიურად ხელმოცარულნი დარჩნენ და კამათიც საკმაოდ მწვავე და ხანგრძლივი გამოდგა, მით უმეტეს, რომ შეკრებილნი კლასიკური ჭიდაობის მწვრთნელთა რესპუბლიკური საბჭოს წევრები იყვნენ და, რასაკვირველია, მათთვის ცნობილი გახლდათ განსახილველი პრობლემები. მაგრამ თუ ადრე ამ საკითხებზე განყენებულად ანდა მხოლოდ ვიწრო წრეში ლაპარაკობდნენ, ახლა ისინი ფართო მსჯელობის საგანი გახდა და ამით უფრო გაადვილდა მათი გადაჭრისთვის საჭირო საშუალებებისა და გზების ძიება. გთავაზობთ საუბარს თავისებური „მრგვალი მაგიდის" ირგვლივ.

**მიხეილ ხალაძე, საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი:** მე აქ თავის მართლებას არ დავიწყებ, სამარცხვინო ფაქტია — თბილისში გამართულ ჩემპიონატში ოქროს მედლის გარეშე დავრჩით. ერთადერთი მოჭიდავე, რომელმაც თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა, ბეგი დარჩია იყო. ხალხი, ცხადია, უკმაყოფილო იქნება. ჩემი აზრითაც, ბიჭებს მეტი შეეძლოთ. მომზადებისას ძალა არ დაგვიშურებია, მაგრამ... წვრილმანი მიზეზების ჩამოთვლა რომ არ დავიწყოთ, ერთ მთავარ საკითხს შევეხები, რომელიც, ჭიდაობის ყველა მცოდნე დამეთანხმება, მეტად მნიშვნელოვანია შეჯიბრებისას: როგორ შეიძლება, რომ მოჭიდავემ სწორედ ხალიჩაზე გამოსვლის წინ დაიკლოს 3-4 კილოგრამი? თედორაძეს, ივანაშვილს, ონიანს, ბაკურიძეს წონის მკვეთრი დაკლების მერე რა ძალა უნდა შერჩენოდათ ბრძოლისათვის? ეს საკითხი ძალზე მწვავედ დგას გუნდში, ყველა მწვრთნელსა და სპორტსმენს ვაფრთხილებდით, მაგრამ ზოგიერთის უპასუხისმგებლობამ მაინც გვაზარალა.

ცალკე მინდა ვთქვა გურამ გედეხაურზე. იგი კარგ სპორტულ ფორმაში იყო, მაგრამ ფინალში აშკარად მცდარი ტაქტიკა აირჩია და პირველი ადგილი დაკარგა. ამ ჩემპიონატში გამარჯვებულ ანატოლი ფედორენკოს გურამი ადრეც შეხვედრია და ყოველთვის იმით უგებდა, რომ უფრო აქტიური იყო და მის მეტოქეს ბოლოს და ბოლოს პასიურობისათვის მოხსნიდნენ ხოლმე ასპარეზობიდან... ეტყობა, გედეხაურს ეს ჩვევად ექცა და ამან სწორედ აქ, თბილისში, ცუდი სამსახური გაუწია მსოფლიო ჩემპიონს.

ჩვენი ნაკრები ახალგაზრდულია და გუნდის ზოგიერთმა წევრმა გამოუცდელობის გამო მთლიანად ვერ გვიჩვენა თავისი ძალა. მომავალ მუშაობაშიც ძირითადად ახალგაზრდებზე ავიღებთ ორიენტაციას. გუნდი უნდა გადავახალისოთ. მაგრამ რა გამოვა, თუ მათს დოსტატებაზე ასე „იზრუნებენ"... აქ, თბილისში, ჩემპიონატის სანახავად საიდან არ ჩამოვიდა ხალხი, სომხეთიდან ავტობუსებით ჩამოიყვანეს ბავშვები. ამ დროს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ბაკურიანში იყო საწვრთნელ შეკრებაზე... ქვეყნის ჩემპიონატზე უკეთესი გაკვეთილი რა უნდა ყოფილიყო მათთვის...

საკავშირო ჩემპიონატის წინ ოთხი საწვრთნელი შეკრება ჩავატარეთ. გვქონდა ორი სამუშაო გეგმა, რომელიც სამეცნიერო ჯგუფის წევრებმა — დოცენტმა ბორის ჩაჩანაშვილმა და პროფესორმა გურამ რატიშვილმა შეადგინეს, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ მათ მთლიანად არ გაამართლეს იმედი. ჩემი აზრით, მოჭიდავეებს ვარჯიში დააკლდათ. აკი მითხრა საკავშირო სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსმა გენადი საპუნოვმა, ახლა აზრი არა აქვს იმ მოჭიდავის გუნდში გაჩერებას, რომელიც თანამედროვე წვრთნას ვერ უძლებსო. ჩვენს გუნდს შეეძლო მეტი ინტენსიურობით ევარჯიშა.

საწვრთნელი პირობები გაგვიუმჯობესდა, მაგრამ საშველი არ დაადგა ფალავანთა კლუბის ცხელი წყლით მომარაგებას, ნავარჯიშები, გაოფლილი მოჭიდავე სასტუმროში მიგვყავდა წყლის გადასავლებად და წესიერად დასვენებას ვერ ასწრებდა. არადა, ამ საკითხის მოგვარებას ზაფხულიდან გვპირდებოდნენ.

**თემურ ყაზარაშვილი, ნაკრები გუნდის მწვრთნელი:** საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი რომ ვიყავი, მეც მინდოდა გუნდის გადახალისება, მაგრამ ვინ გინდა შეიყვანო გუნდში, როცა ღირსეულ კანდიდატებს ვერ ხედავ? ზოგიერთი ჩვენი მოჭიდავე არ მომწონდა, წესრიგს არღვევდნენ, მაგრამ მაინც ვერ დავითხოვე გუნდიდან. დღეს რომ გაუშვა, ხვალ შედეგს გთხოვენ და რით გინდა ამ შედეგს მიაღწიო? დროს აღარ გიტოვებენ ახალგაზრდების მოსამზადებლად.

**რეპლიკა:** კი მაგრამ, ოთხ მედალს რომ შეჰპირდით ხალხს? საკუთარი შეცდომებიც უნდა დაინახოთ.

**ყაზარაშვილი:** ჩვენ, პირველ ყოვლისა, გუნდის წამყვანი მოჭიდავეების იმედი გვქონდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. ივანაშვილი, თედორაძე, ონიანი და თვით მსოფლიო ჩემპიონი გურამ გედეხაურიც კი ჭიდაობის მდიდარი არსენალით არ გამოირჩევიან. სად დაიკარგა ქართული ჭიდაობის ილეთები, საკვირველია. ახლა კი არ ჭიდაობენ, უფრო მეტოქის შეცდომას უცდიან. ყველამ იცოდა, რომ ფედორენკო ამ ჩემპიონატისათვის ფიზიკურად ძალიან კარგად იყო მომზადებული და პასიურობას აღარ დაიწყებდა, მაგრამ გედეხაურმა ძველ ტაქტიკას არ უღალატა.

**ომარ ბლიაძე, ნაკრები გუნდის მწვრთნელი:** ძალიან შევეჩვიეთ ზედმეტად ოპტიმისტურ განცხადებებს. ასე იყო გასულ საკავშირო სპარტაკიადაზე, ასე იყო ამ ჩემპიონატზეც, თუმცა ობიექტურად, უარესი შედეგის მოლოდინი უნდა გვქონოდა. თვითონ განსაჯეთ: ახლა გუნდში ძირითადად 1961-1965 წელს დაბადებული მოჭიდავეები არიან, რომლებიც ადრე ახალგაზრდულ თამაშებზე მე-7 ადგილზე წინ არ წასულან. იმედის თვალით ვუყურებდით 1967-1968 წელს დაბადებულ ჭაბუკებს, რომლებმაც მოსწავლეთა სპარტაკიადაზეც და ჭაბუკთა თამაშებზეც პირველი ადგილები დაიკავეს, მაგრამ შემდეგ სათანადო ყურადღება ამ გუნდის მიმართ ვერ გამოვიჩინეთ: სად არიან ის ნიჭიერი მოჭიდავეები — კურდღელაშვილი, მურღულია, ბუცხრიკიძე, ჩაკვეტაძე... იმ ჭაბუკთა გუნდებიდან, მგონი, უკვე ათი-თხუთმეტი კაცი „დავკარგეთ"... ზაურ ივანაშვილს მე ვავარჯიშებ და უნდა ვთქვა: ეს ბიჭი ისეა გადაღლილი ამდენი შეჯიბრებებით და საკავშირო შეკრებებზე ვარჯიშით, ჭიდაობის გარდა ყველაფერზე ფიქრობს. მას აუცილებლად სჭირდება დასვენება.

მე ვეთანხმები ყაზარაშვილს: ჩვენი მოჭიდავეების ილეთების არსენალი ღარიბია. ეტყობა, ჩვენი სკოლა ჯერ ვერ შეეგუა დღევანდელ სწრაფ, ავტომატიზმამდე დაყვანილ ჭიდაობას. ერთადერთი, ვის ჭიდაობაშიც ქართული სტილი ნათლად ჩანს, ბეგი დარჩიაა. ბევრს კი აშკარად ეტყობა, რომ თავიდანვე არ უზრუნიათ, მათს „საბაზო" მომზადებაზე. ვგულისხმობ ნაყოფიერ ვარჯიშს ადრეულ ასაკში.

კიდევ ერთი რამ: ადრე შესანიშნავი მწვრთნელები გვყავდა, მაგრამ სპორტსმენები ჭიდაობას ძველი ფალავნებისგანაც ვსწავლობდით. ახლა კი ჩვენ ძველ ჩემპიონებს ველარ ვხედავთ დარბაზში. უნდა მოვიხმოთ ის ხალხი.

**ავთანდილ მაისურაძე, ნაკრები გუნდის მწვრთნელი:** მე ვთქვი, მძიმე წონაში ნურავის გამოვიყვანთ მეთქი. სირცხვილია, ერთმა ჩვენმა მოჭიდავემ წმინდად წააგო, მეორემაც ბევრი ვერაფერი გააკეთა. არადა, ადრე სწორედ მძიმე წონის მოჭიდავეთა იმედზე ვიყავით. ახლა დრო შეიცვალა, კლასიკურ ჭიდაობაში ვარჯიში აღარავის უნდა, ყველას ძიუდოსა და თავისუფალი ჭიდაობისაკენ მიუწევს გული... ამას წინათ თელავში ვიყავით, ახალგაზრდების შერჩევა გვინდოდა. არავინ წამოგვყვა. ორი ბიჭი ვნახე, მაისურაძეები, იმათაც ვეხვეწე, მაგრამ უარი მითხრეს... რაც შეეხება გურამ გედეხაურს, შეცდომად მიმაჩნია, რომ მან ფინალში ჩოქბჯენში ჭიდაობაზე უარი თქვა. იქნებ ერთი ქულა მაინც აეღო...

**ილია ჩხარტიშვილი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი:** გუშინდელივით მახსოვს 1973 წელი, როდესაც საკავშირო თასი მოვიგეთ. ადრე უარესი სავარჯიშო პირობები იყო, მაგრამ სპორტსმენები უფრო ტექნიკურნიც იყვნენ და საქმეც ფანატიკურად უყვარდათ. ნაკრებ გუნდში შევსების საქმე უნდა მოგვარდეს.

**ვახტანგ ბალავაძე:** ამ ჩემპიონატზე ოთხი მედლის მოპოვებას ვვარაუდობდით. გუნდის პოტენციის მიხედვით, დასახული უნდა შესრულებულიყო, მაგრამ, ეტყობა, საქმეს მონდომება დავაკელით... აქ კრებას რესპუბლიკის წამყვანი მწვრთნელები ესწრებიან. კარგად იცით, საქმეს, პირველ ყოვლისა, რა უშლის ხელს: განხეთქილება საერთო საქმეში, კონფლიქტი, უსიამოვნება, აკი აქ ითქვა, გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში კლასიკური ჭიდაობის სპეციალისტები ერთმანეთს არ ელაპარაკებიანო. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს ჩვენში. საქართველოს კარგი მოჭიდავეები რომ არ ჰყავდეს, სირცხვილია... ჩემი აზრით, რაიონის ყოველ საჭიდაო ცენტრში უნდა იყოს სპეციალისტი, რომელიც მხოლოდ რესპუბლიკის ნაკრების ინტერესებისთვის იმუშავებს. ისე, როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაშია.

**ნერსეს აკოფოვი:** წეღან ითქვა, ახალგაზრდების მონახვა ჭირსო. აგერ სუვოროვის სასწავლებელი აქ არა გვაქვს? იქ მთელი საქართველოდან ჩამოდის ახალგაზრდობა. ჯანმაგარი ბიჭები არიან, თანაც ოთხი წელიწადი უნდა ისწავლონ. მაგრამ ერთი ხალიჩაც არა აქვთ საჭიდაოდ, აი, სად უნდა გამოვიჩინოთ დაინტერესება. თუმცა დაინტერესება კი არა, სპეციალისტები ბავშვთა შეჯიბრებებსაც არ ესწრებიან. ახლა საქალაქო პირველობა ჩავატარეთ და შეხვედრებს ისევ უფროსები კი არა, თვითონ მონაწილეები მსაჯობდნენ. სირცხვილია.



**თამაზ თათრიშვილი, თბილისის განათლების სამმართველოს ჭიდაობის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე:** კლასიკურ ჭიდაობაში ბავშვები აღარ მოდიან. ამას წინათ ქალაქის პირველობა ჩავატარეთ: სამ ასაკობრივ ჯგუფში (16 წონით კატეგორიაში) სულ ასმა მოჭიდავემ მოიყარა თავი. ამ დროს თავისუფალ ჭიდაობაში 350 ბავშვი გამოვიდა. სკოლაში შვიდი ჯგუფია კლასიკურ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში — ცამეტი, ძიუდოში — ჩვიდმეტი.

**ვლადიმერ კანკავა, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:** ქალაქში კლასიკურ ჭიდაობაში 96 მწვრთნელი მუშაობს. სად არიან მათი აღზრდილები?

**გიორგი ვარძელაშვილი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი:** მიკვირს ჩვენი გუნდის წევრების საქციელი. თუ სპორტსმენმა საკუთარ წონაზე არ იზრუნა, მერე რაღა ტაქტიკასა და ტექნიკაზე შეიძლება ლაპარაკი... ეტყობა, ძიუდოს და თავისუფალი ჭიდაობის „მეტოქეობა" თავისას შვრება და ბევრი ნიჭიერი მოზარდი გვეკარგება. თუ ასეა, რატომ თვითონ არ უნდა ვიზრუნოთ კლასიკური ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის? დღესასწაულების დროს მოჭიდავეთა ბევრი საჩვენებელი გამოსვლა ეწყობა, რიყეში, მაგალითად, მაგრამ კლასიკურ ჭიდაობას [illegible] ტომლაკ ვერსად ნახავ... დღევანდელი კრება [illegible] იყო, ბოლოს და ბოლოს, რომელიმე ხომ უნდა შევკრებილიყავით ასე ერთად და ჩვენი სატკივარი გვეთქვა.

**გურამ რატიშვილი:** ჩემპიონატის შედეგები ჩვენთვის არასახარბიელო, სავალალო გამოდგა. ჯერ ერთი, ჩვენი მოჭიდავეების ტექნიკა აშკარად მოიკოჭლებს, რაც უკეთესის მიღწევის საშუალებას გვართმევს. მეორეც, ზოგიერთმა დიდი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა და წონის შენარჩუნებაზე არ იზრუნა. კიდევ ვიმეორებ, ძალიან ცოტა გვყავს ტექნიკური მოჭიდავე. ახლა იმაზეა ლაპარაკი, რომ პერიოდებს შორის შესვენება საერთოდ გააუქმონ, და მაშინ ტექნიკაც უფრო საჭირო გახდება, ჩვენ ამთავითვე უნდა დავიჭიროთ თადარიგი.

**ბორის ჩაჩანაშვილი:** თუ რამე სიახლე არსებობს კლასიკურ ჭიდაობაში, სწორედ ჩვენს შემუშავებულ გეგმას დაედო საფუძვლად. ამიტომ იგი მე ახლაც სწორად მიმაჩნია. ამასთან გეგმაში კორექტივები ხომ თვით გუნდის მწვრთნელებს შეჰქონდათ. მეცნიერული მონაცემები ამტკიცებს, რომ სავარჯიშო მოცულობის მეტისმეტად გაზრდა ნაყოფს არ იძლევა. ბიჭები ფუნქციურად კარგად იყვნენ მომზადებულნი და, ადრინდელისაგან განსხვავებით, ბოლომდე უძლებდნენ ბრძოლას. მთავარი ისაა, რომ მოჭიდავეებს ილეთების ღარიბი არჩევანი აქვთ. რაც ათი წლის წინათ უნდა გაკეთებულიყო, იმას ახლა ვაკეთებთ, ილეთებს ვასწავლით ზრდადასრულებულ ფალავნებს.

**ომზარ შოშიტაშვილი, საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსი:** მე შეჯიბრებაზე ზოგიერთმა მკითხა: ღირდა თუ არა ჩემპიონატის თბილისში ჩატარება, თუკი შედეგი ასეთი იქნებოდაო. უცნაური და, მე ვიტყოდი, არასწორი შეკითხვაა. გულშემატკივართა ინტერესს რომ თავი დავანებოთ, ამაზე ცხადად ჩვენს პრობლემებს სად დავინახავდით. არც ეს კამათი იქნებოდა და ბევრი რამ კვლავ ძველებურად დარჩებოდა... მე ჩვენს მოჭიდავეებს თავდებად არ ვუდგები, მაგრამ მათაც უნდა გავუგოთ, ბიჭები ძალიან ღელავდნენ. ისინი ხომ ფაქტიურად გადაეჩვივნენ შინ ასპარეზობას. ჩემპიონატის შემდეგ მათ სათითაოდ ვესაუბრე და ყველამ მითხრა, სხვაგან უკეთესად ვიჭიდავებდითო.

ერთმანეთს მხარი უნდა დავუჭიროთ, მოვეხმაროთ. არ შეიძლება ასე ლაპარაკი, ამ მოჭიდავეს ტექნიკა აკლია, იმას — გამძლეობაო. შესანიშნავი მწვრთნელები გვყავს, აკაკი თავართქილაძე, ილია ჩხარტიშვილი, სხვები... სამ ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონსაც ბევრის გაკეთება შეუძლია... ასეთი მწვრთნელები ბევრ რესპუბლიკას არ ჰყავს და მათი უნარი უნდა გამოვიყენოთ... ერთია, ამ ჩემპიონატზე მაყურებლის წინაშე შევრცხვით. შარშან კი ჩვენმა წარმომადგენლებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს მოზრდილებშიც და ახალგაზრდებშიც, მსოფლიო თასიც აქ ჩამოვიტანეთ. ახლა მეტი მონდომება გვმართებს. საქმეა საჭირო.

საუბარი ჩაიწერა
**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲝᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ.**

---

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲡᲐᲛᲑᲝᲨᲘ

# ...ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

სამბისტთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში, რომელსაც საგარეჯომ უმასპინძლა, საპატიო მიზეზის გამო არ მონაწილეობდა ორი სახელოვანი მოჭიდავე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ჯემალ მჭედლიშვილი და ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი მალხაზ ბერუაშვილი. მაგრამ თუ მაყურებელთა ინტერესის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეჯიბრების სანახაობრივ მხარეს მაინც სამდურავი არ ეთქმოდა. ეს ორი ფალავანიც საპატიო მიზეზის გამო არ გამოვიდა სარბიელზე. ცნობილი ფაქტია, ისინი წარმატებით ასპარეზობენ სამბოსა და ძიუდოში, და ახლაც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებთან ერთად ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის ემზადებიან.

ჩემპიონატზე სულ საქართველოს 28 ქალაქისა და რაიონის 160 მოჭიდავემ მოიყარა თავი. ეს პატარა ციფრი არ არის, მაგრამ ასპარეზობა უფრო ხალხმრავალი და საინტერესო იქნებოდა საგარეჯოში ხაშურის, ლენტეხის, მესტიისა და წითელი წყაროს რაიონების სპორტსმენებიც რომ ჩამოსულიყვნენ.

...სასიხარულოა, რომ შეჯიბრებამ ბევრი ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა, მათგან უნდა გამოვყოთ ფოთელი მურთაზ თურქია (მწვრთნელი ზ. ტუღუში) და მცხეთელი არჩილ ჩოხელი (მწვრთნელი ა. წიკლაური), რომლებიც რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ, პრიზიორთა შორის მოხვდნენ ზუგდიდელი ზურაბ შულაია, ფოთელი კონსტანტინე ხუბუტია და თბილისელი ემზარ ჩიგოევი.

უფრო გამოცდილთაგან კარგად იასპარეზეს საგარეჯოელებმა ტარიელ ჯავახიშვილმა და პაატა ბუზარიაშვილმა, თბილისელებმა გია ნაცვლიშვილმა და იოსებ ჯიჩოშვილმა, სოხუმელმა შირვან ფარჯანაძემ, ახმეტელმა ზაქრო ებელაშვილმა და კასპელმა რამაზ გოგიაშვილმა. ჩემპიონატის მთავარი მსაჯი გახლდათ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი შოთა ზუკაკიშვილი (თბილისი).

საქართველოს სამბისტთა ნაკრები ამჟამად საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება ბორჯომში, 16-20 თებერვალს იგი (50 სპორტსმენი) მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში (ლენინაკანი), სადაც პრიზიორთა შორის მოხვედრილი მოჭიდავეები ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას იღებენ. ეს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ტურნირი კი აპრილში გაიმართება ტომსკში.

**ᲒᲘᲐ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ,**
საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი სამბოში.

ქვარცხლბეკი

**48 კგ.** 1. გ. ჭიჭინავა (სოხუმი); 2. კ. კირკიტაძე (ქუთაისი); მესამე ადგილი არ გათამაშებულა.

**52.** 1. მ. თურქია (ფოთი); 2. გ. შახულოვი (თბილისი); 3. ზ. შულაია (ზუგდიდი) და კ. ხუბუტია (ფოთი).

**57.** ა. ჩოხელი (მცხეთა); 2. გ. კუპატაძე; 3. შ. პიპინაშვილი (ორივე—თბილისი) და ნ. აღდგომელაშვილი (რუსთავი).

**62.** 1. ტ. ჯავახიშვილი (საგარეჯო); 2. ზ. გუგულაშვილი (კასპი); 3. პ. მჭედლიშვილი (მცხეთა) და ზ. ხიზანიშვილი (რუსთავი).

**68.** 1. შ. ფანჯანაძე (სოხუმი); 2. გ. ნაცვლიშვილი; 3. ე. ფლიონიშვილი და ბ. დვალიშვილი (ყველა — თბილისი).

**74.** 1. ხ. ჯანიბეგაშვილი (ახმეტა); 2. ს. სუხაშვილი (საგარეჯო); 3. ცქიტიშვილი (ქუთაისი) და ე. ჩიგოევი (თბილისი).

**81.** პ. ბუზარიაშვილი (საგარეჯო); 2. რ. გოგიაშვილი (კასპი); 3. ნ. ჯალაბაძე (გორის რ-ნი) და ჯ. გულიევი (კასპი).

**90.** ზ. ებელაშვილი (ახმეტა); 2. თ. წითელაური (თელავი); 3. კ. ლომიძე (თბილისი) და გ. ქიტესაშვილი (ახმეტა).

**100.** 1. გ. სპანდერაშვილი (სიღნაღი); 2. გ. უსოიანი (თელავი); 3. ა. წკრიალაშვილი (თბილისი) და თ. ჯალაბაძე (გორის რ-ნი).

**+100.** 1. ი. ჯიჩოშვილი; 2. ბ. გულიაშვილი; 3. ი. ლომიშვილი (ყველა—თბილისი) და ბ. ბეკოშვილი (რუსთავი).

# ცხრა წლის შემდეგ

დასასრული

შოვმა (პროფკავშირები) მიაღწია და ეს კანონზომიერიც იყო. დანარჩენებს შორის საუკეთესონი აღმოჩნდნენ თბილისელები დავით მატინოვი (მე-11 ადგილი) და გიორგი ქართლელიშვილი (23-ე).

რაპირისტთა ასპარეზობის ფინალში, წესის მიხედვით, რვა სპორტსმენი გავიდა, ორი მოსკოველი, ორი ლენინგრადელი, თითო თბილისელი, კიეველი, ერევნელი და ნოვოსიბირსკელი სპორტსმენი. „ოლეგი ახლა ძალიან კარგად არის მომზადებული და ჩემპიონობისათვის ბრძოლაც შეუძლია", — თქვა ფინალის წინ მისმა მწვრთნელმა ლუდვიგ ლაღანიძემ, რომელიც მღელვარებას ვეღარ მალავდა. და მაინც, თბილისელ ყმაწვილს მეტად ძნელი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი: წილისყრით მას შეჯიბრების ორივე ფავორიტთან მოუხდა ბრძოლა, როდესაც მეორე კვარტეტში შედარებით სუსტმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი.

ოლეგის პირველი მეტოქე ფინალში, ერევნელი გაგიკ ოჰანესიანი, რომელიც ქვეყნის მთავარი ნაკრების კანდიდატად ითვლება, ძალიან სწრაფი, აგრესიული მოფარიკავეა. მთელი დარბაზი აღტაცებული დარჩა ჩერნიშოვის სიდინჯითა და ელვისებური, ზუსტი კონტრშეტევებით, რაც მან მეტოქის შეტევებს დაუპირისპირა. ბრძოლის უკიდურეს დაძაბულობაზე ანგარიშის ცვლაც მეტყველებს — 2:0, 3:1, 3:4, 6:6, 8:8 და ბოლოს — 10:8, ჩერნიშოვის ორმა ჩხვლეტამ შეხვედრის ბედი გადაწყვიტა.

მსგავსი სცენარით მიმდინარეობდა მისი მომდევნო შეხვედრა კიეველ სერგეი გოლუბიცკისთან. კონტრშეტევისას, ზუსტი, უეცარი ჩხვლეტებით თბილისელმა ყმაწვილმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება (ერთხანს მისი მეტოქე იყო წინ — 7:6, 8:7) და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა — 10:8. ეს ბრძოლა ფაქტიურად გადამწყვეტი გამოდგა.

მეორე ოთხეულიდან გადამწყვეტ შეხვედრაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა მოსკოველმა გენადი სლადკოვმა, რომელმაც ჯერ ლენინგრადელი დენის ბურცევი დაამარცხა (10:7), შემდეგ კი თანაქალაქელ ანდრეი ქიტნიკოვს სძლია (10:8).

ფინალი დიდი დაძაბულობით არ გამოირჩეოდა, ოლეგ ჩერნიშოვმა დამაჯერებლად მოუგო ანდრეი სლადკოვს (10:3) და პირველი ადგილი დაიკავა. ცხრა წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ვლადიმერ აფციაურმა ასეთსავე წარმატებას მიაღწია. და აი, ახალი გამარჯვება. ოლეგ ჩერნიშოვს ამით შესაძლებლობა მიეცა, ქვეყნის ნაკრებში მოხვდეს და მონაწილეობა მიიღოს იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში. როგორც ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ გლაზოვმა თქვა, გუნდის დაკომპლექტების საკითხი ბოლო საწვრთნელ შეკრებებზე გადაწყდება.

ოლეგ ჩერნიშოვი თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სკოლის აღზრდილია (დირექტორი — ბიჭიკო მესხი), სწავლობს გორში, ეკონომიკური ფაკულტეტის დასწრებულ განყოფილებაზე.

გული დაგვწყვიტეს ხმლით მოფარიკავეებმა. საქართველოს ნაკრების წევრებს ამ სახეობაში მდიდარი ტრადიციები აქვთ და ყველა ელოდა, რომ ჩვენი ახალგაზრდა მოფარიკავეები უმეღლებოდ არ დარჩებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა: ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი კახა მახარაძე და არჩილ ლორთქიფანიძე ერთმანეთის მეზობელ ბილიკებზე, შეიძლება ითქვას, იდენტურ სიტუაციაში დამარცხდნენ, თანაც ორივემ მინსკელ სპორტსმენებთან წააგო. პირველი უგებდა იგორ გაბრილოვიჩს — 9:6, მეორე — მაქსიმ ლოგოტკოს — 9:7. ორივე შეხვედრაში ანგარიში გათანაბრდა (10:10), მსაჯებმა პრიორიტეტი (შეტევის უფლება) გაითამაშეს და ბედმა მინსკელ სპორტსმენებს გაუღიმა, რომელთა შეტევები ზუსტი აღმოჩნდა. საბოლოოდ კახა მახარაძემ მეცხრე ადგილი დაიკავა, არჩილ ლორთქიფანიძემ — მეათე. 16 საუკეთესოს შორის მოხვდა კიდევ ერთი თბილისელი სპორტსმენი — ზურაბ იოსებიძე (მე-15 ადგილი). ამ სახეობაში გაიმარჯვა ვლადიმირ პროკინმა (მოსკოვის ოლქი, „დინამო"), რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში არმიელი ილია კარაიჩევი დაამარცხა — 10:6. მესამე ადგილზე მაქსიმ ლოგოტკო გავიდა.




დღეს ტურნირზე შესვენებაა. 7 თებერვალს შეჯიბრებაში ჩაებმებიან გოგონები, მომდევნო დღეს — დაშნით მოფარიკავეები. შეჯიბრებები 10 საათზე დაიწყება. ტურნირი 9 თებერვალს მთავრდება.

ზიორაბი პაპლიაშვილი.

# რატომ დააჯარიმეს თბილისის „დინამო"?

**„ჯარიმა ვალიუტის ხარჯზე. ვისი ჯიბიდან?"** ამ სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" 5 თებერვალს საუბარი სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსთან **ვ. კოლოსკოვთან.**

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა სხვადასხვა თანხით დააჯარიმა ევროპულ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდები. დაჯარიმებულთა შორის, სამწუხაროდ, აღმოჩნდა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდიც. ამ ჯარიმის თაობაზე „ლელომ" 3 თებერვალს გამოაქვეყნა ცნობა, მაგრამ მაშინ შვეიცარიიდან მიღებულ ცნობაში მითითებული არ იყო მიზეზები, რამაც ჩვენი გუნდის მიმართ ასეთი სანქცია გამოიწვია. დაინტერესებული პირები გვირეკავდნენ რედაქციაში და გვთხოვდნენ გაგვემარტა რა იყო თბილისის „დინამოს" დაჯარიმების საბაბი. ამის თაობაზე შეკითხვა გავუგზავნეთ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ ამჯერად ვსარგებლობთ „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებული ინტერვიუთი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველებს.

უეფა-ს შტაბ-ბინაზე შვეიცარიის ქალაქ ციურიხში შედგა ამ ორგანიზაციის სადისციპლინო კომისიის მორიგი სხდომა, სადაც განიხილეს ევროპული კავშირის ეგიდით ჩატარებულ საფეხბურთო შეხვედრათა ინსპექტორების მოხსენებითი ბარათები. ყველაზე სერიოზული სასჯელი გამოუტანეს უნგრეთის „ვიდეოტონის" ფეხბურთელს იოჟებ ფიტოშს, მას 5 მატჩით აუკრძალეს ევროპულ ტურნირებში მონაწილეობა. დისკვალიფიკაცია მისცეს, აგრეთვე, ბერძენ ფეხბურთელს კალიტზაკისს, ჩეხოსლოვაკიელ ვლკს, კიპროსელ თეოდოროსს, რუმინელ ბელოდედიჩს. მსჯავრდებულთა შორის აღმოჩნდნენ ქალებიც, კერძოდ, იტალიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მატჩში უდისციპლინობისთვის ერთი მატჩით დისკვალიფიცირებული პაულა [illegible]ატო.

7 ათასი შვეიცა[illegible] ფრანკით დააჯარიმეს კიპრო[illegible] ფეხბურთის ფედერაცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან მატჩის შემდეგ ფეხბურთელთა უდისციპლინობისთვის, დააჯარიმეს, აგრეთვე, თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია, იტალიის „ვერონა", ბელგიის „ბრიუგე", პორტუგალიის „გიმარაეში".

სწორედ ამ სხდომაზე გადაწყდა თბილისის „დინამოს" დაჯარიმების საკითხიც. **სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით ჩვენმა კლუბმა უეფა-ს 2.500 შვეიცარიული ფრანკი უნდა გადაუხადოს დასავლეთ გერმანიის „ვერდერთან" ბრემენში 1987 წლის 25 ნოემბერს უეფა-ს თასის მერვედფინალში არაკორექტული საქციელისთვის.** სხვათა შორის, უეფა-მ შარშან სანქცია გამოიტანა სსრ კავშირის ნაკრების მიმართაც 18 ნოემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან ჩადენილი არასპორტული საქციელისთვის.

**ვ. კოლოსკოვის განმარტებით ბრემენის „ვერდერთან" მატჩში თბილისის დინამოელებმა 5 გაფრთხილება, ე. ი. 5 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს და უეფა-ს სადისციპლინო კომისიამ გუნდი ამის გამო ფულადი თანხით დააჯარიმა.** ვინაიდან ჩვენს კლუბებს ჯერჯერობით არა აქვთ საკუთარი პირადი ანგარიში, ამ ჯარიმას გადაიხდის სსრ კავშირის სპორტსახკომი, პირადი ანგარიშები კი გუნდებს ექნებათ მაშინ, როცა ისინი გადავლენ სრულ თვითდაფინანსებაზე და ახალ სამეურნეო პრინციპზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში თბილისის „დინამო" სსრ კავშირის სპორტსახკომს ანგარიშს გაუსწორებს ჩვენი ფულით.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისიის წევრები ყურადღებით იკვლევენ საერთაშორისო მატჩებში დაშვებულ დარღვევებს და თავიანთი დასკვნა გამოაქვთ მატჩების მსვლელობაში მიღებულ თითოეულ გაფრთხილებაზე, ამასთან, ობიექტური, დეტალური ანალიზი უკეთდება ყოველ დარღვევას. დასამალი არაა, რომ უცხოელი არბიტრები ზოგიერთ შემთხვევაში ზედმეტად მკაცრნი არიან ჩვენი ფეხბურთელების მიმართ და მათი მეტოქეების დარღვევებს კი უყურადღებოდ ტოვებენ. კერძოდ, ესპანელი არბიტრი უ. პირარტე ზედმიწევნით „გულმოდგინებით" აღნიშნავდა თბილისის დინამოელთა დარღვევებს, მხოლოდ ერთხელ დასაჯა ბრემენელი ფეხბურთელი, ისიც, აშკარა უხეშობისთვის, მაგრამ ამ გუნდის სხვა წევრთა დარღვევები უყურადღებოდ დატოვა. უეფა-ს სადისციპლინო კომისია ფინანსური თუ სხვა სასჯელების გამოტანისას ხელმძღვანელობს მხოლოდ მატჩის ოფიციალურ ოქმში შეტანილი ჩანაწერებით. სსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" აღნიშნულ მატჩებში ჩვენი ფეხბურთელები, მართალია, ზედმეტად მკვეთრად თამაშობდნენ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს მეტოქეთა პროვოკაციული მოქმედების შედეგი იყო, მსაჯები კი ამას უყურადღებოდ ტოვებდნენ.

მას მერე, რაც უეფა-მ 3 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა სსრ კავშირის ნაკრები, ჩვენ ოფიციალური პროტესტი გავუგზავნეთ ევროპულ კავშირს, სადაც აღვნიშნეთ სანქციის არამართებული საბაბი, მაგრამ პროტესტზე უარი გვითხრეს, ამიტომაც ახლა გვინდა უეფა-ს შევთავაზოთ წინადადება, რათა საკითხის განხილვისას, სადავო სიტუაციებში, განიხილონ ვიდეოჩანაწერები. სადისციპლინო კომისიის წევრებმა უნდა იხელმძღვანელონ არა ოქმის მშრალი სტრიქონებით, არამედ საკუთრივ ნახონ სად რა მოხდა, რა დააფიქსირა მსაჯმა და რა გამორჩა ყურადღებიდან. ეს დიდად მოეხმარება სამართლიანობის დადგენას და გამოააშკარავებს მსაჯთა სუბიექტურობას.

აი, ესაა თბილისის „დინამოს" დაჯარიმების მიზეზი. ცხადია, ჩვენს ფეხბურთელებს მეტი ყურადღება, მეტი თავდაჭერა მართებთ, რათა ტყუილუბრალოდ, დაუმსახურებლად არ მიიღონ გაფრთხილებები მსაჯებისგან, ჩვენ კარგად გვახსოვს თბილისის დინამოელთა შეხვედრა ბრემენში, ის მატჩი გუნდმა საუკეთესოდ ჩაატარა, მაგრამ ზედმეტმა, გაუმართლებელმა ემოციებმა ესპანელ არბიტრს ყვითელი ბარათის ფრიალის შესაძლებლობა მისცა. როგორც ხედავთ, უდისციპლინობა შეგნებული თუ უნებლიე, დაუსჯელი არ რჩება.

## საბჭოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

**ხილიგური.** ინდოეთის ამ ქალაქში დამთავრდა ჯავაჰარლალ ნერუს საერთაშორისო ტრადიციული მემორიალური ტურნირი ფეხბურთში. სსრ კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა ფინალში ანგარიშით 2:0 მოუგო პოლონეთის გუნდს და საპატიო პრიზს დაეუფლა.

**სოფია.** ბულგარეთის ქ. პეტრიჩში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა გუნდებიც მონაწილეობენ.

„ა" ჯგუფში კიშინიოვის „ნისტრუმ" ანგარიშით 2:0 დაამარცხა ბულგარეთის „ბელასიცა", „ბ" ჯგუფში კი დონეცკის „შახტიორმა" წააგო იუგოსლავიის ქალაქ სტრუმიცის გუნდთან — 0:1.

## უცხოეთის სტადიონებზე

**ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გრძელდება ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატები და თასის გათამაშება.**

### იტალია

გაიმართა XVII ტურის მატჩები: „ინტერი" — „კომო" 1:0, „იუვენტუსი" — „ემპოლი" 4:0, „ფიორენტინა" — „მილანი" 1:1, „ასკოლი" — „ნაპოლი" 1:3, „პიზა" — „პესკარა" 2:0, „ჩეზენა" — „რომა" 0:0, „სამპდორია" — „ტორინო" 1:1, „აველინო" — „ვერონა" 1:0.

**ლიდერთა ხამეული:**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „ნაპოლი" | 17 | 29 |
| „მილანი" | 17 | 25 |
| „რომა" | 17 | 23 |

### ინგლისი

საფეხბურთო ასოციაციის თასის მეოთხე წრის (მეთექვსმეტედფინალი) შეხვედრები დამთავრდა ასე: „ბერნსლი" — „ბირმინჰემი"



0:2, „ბლექპული" — „მანჩესტერ სიტი" 1:1, „ბრედფორდი" — „ოქსფორდი" 4:2, „ბრაიტონი" — „არსენალი" 1:2, „ქოვენთრი" — „უოთფორდი" 0:1, „ევერტონი" — „მიდლსბრო" 1:1, „ლეიტონი" — „ნოტინგჰემი" 1:2, „ლუტონი" — „საუთჰემპტონი" 2:1, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ჩელსი" 2:0, „მანსფილდი" — „უიმბლდონი" 1:2, „ნიუკასლი" — „სუინდონი" 5:0, „პემუთი" — „შრიუსბერი" 1:0, „პორტ ვეილი" — „ტოტენჰემი" 2:1, „ქუინზ პარკი" — „ვესთ ჰემი" 3:1, „ასტონ ვილა" — „ლივერპული" 0:2. ერთი შეხვედრა „პორტსმუტსა" და „შეფილდს" შორის გადაიდო.

ხაკუთარი ინფორმაცია.

## საუკეთესო ფეხბურთელები

**სპეციალისტები,** ჟურნალისტები ყოველი წლის დასასრულს ასახელებენ თავიანთი ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელებს.

გთავაზობთ ევროპის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელებს 1987 წლის სეზონის მიხედვით.

**ბულგარეთი.** ნიკოლაი ილიევი. სოფიის „ვიტოშა", მცველი, 23 წლის.

**ჩეხოსლოვაკია.** ივან ჰაშეკი. პრაღის „სპარტა", ნახევარმცველი, 24 წლის.

**პოლონეთი.** ანჯეი ივანი. ზაბჟეს „გურნიკი", გფრ-ის „ბოხუმი", თავდამსხმელი, 28 წლის.

**რუმინეთი.** ჯორჯე ჰაჯი. ბუქარესტის „სტიაუა", თავდამსხმელი, 22 წლის.

**გდრ.** რენე მიულერი. ლაიფციგის „ლოკომოტივი", მეკარე, 29 წლის.

**სსრ კავშირი.** ოლეგ პროტასოვი. დნეპროპეტროვსკის „დნეპრი", კიევის „დინამო", თავდამსხმელი, 23 წლის.

**უნგრეთი.** ატილა ჰერედი. უიპეშტის „დოჟა", ნახევარმცველი, 27 წლის.

**იუგოსლავია.** მარკო მლინარიჩი. ზაგრების „დინამო", ნახევარმცველი, 27 წლის.

**ბელგია.** მიშელ პრიუდომი. „მეჰელენი", მეკარე, 29 წლის.

**გფრ.** უვე რანი. მიონხენგლადბახის „ბორუსია", თავდამსხმელი, 25 წლის.

**დანია.** ჯონ იენსენი. კოპენჰაგენის „ბრონდბიუ", ნახევარმცველი, 22 წლის.

**ინგლისი.** კლივ ალენი. „ტოტენჰემ ჰოტსპური", თავდამსხმელი, 27 წლის.

**ფინეთი.** არი ჰიელმი. ტამპერეს „ილვესი", თავდამსხმელი, 25 წლის.

**საფრანგეთი.** მანუელ ამორო. „მონაკო", მცველი, 25 წლის.

**ისლანდია.** პეტურ ორმსლევი. რეიკიავიკის „ფრამი", ნახევარმცველი, 29 წლის.

**ჰოლანდია.** რონალდ კოემანი. „ეინდჰოვენი", მცველი, 24 წლის.

**ნორვეგია.** რუნე ბრატსეტი. ბრემენის „ვერდერი", მცველი, 26 წლის.

**ავსტრია.** ჰერიბერტ ვებერი. ვენის „რაპიდი", მცველი, 32 წლის.

**შოტლანდია.** ბრაიან მაკლეირი. გლაზგოს „სელტიკი", „მანჩესტერ იუნაიტედი", თავდამსხმელი, 24 წლის.

**შვეიცარია.** ჰაინს ჰერმანი. ნევშატელის „ქსამაქსი", ნახევარმცველი, 30 წლის.

**შვეცია.** პეტერ ლარსონი. „გიოტებორგი", ჰოლანდიის „აიაქსი", მცველი, 26 წლის.

# ორი დამატებითი

**კანადის** ქალაქ სენტ-ჯონსში დამთავრდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ვაჟთა მერვედფინალური მატჩები ჭადრაკში. არტურ იუსუპოვის, ნაიჯელ შორტისა და ჯონათან სპილმენის მსგავსად მეოთხედფინალური მატჩების საგზურები მოიპოვეს იან ტიმანმა (ჰოლანდია), რომელმაც ბოლო პარტია მოუგო ვალერი სალოვს (მატჩის ანგარიშია 3,5:2,5), უნგრელმა ლაიოშ პორტიშმა (VI პარტიაში იგი დაუზავდა რაფაელ ვაჰანიანს და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3,5:2,5). დანარჩენ ორ ორთაბრძოლას გამარჯვებული არ გამოუვლენია. ფრედ 3:3 დამთავრდა ანდრეი სოკოლოვ-კევინ სპრაგეტისა (ინგლისი) და ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია)—იოჰან ჰიარტარსონის (ისლანდია) შეხვედრები (ბოლო VI პარტიაში სოკოლოვი ყაიმს დასჯერდა, კორჩნოიმ კი სძლია მეტოქეს).

ამ ორმა წყვილმა უკვე გამართა დამატებითი მატჩის პირველი პარტიები. ორივე შეხვედრაში მეტოქეები დაზავდნენ.

# ლიდერი განაგრძობს წინსვლას

(დასასრული)

ნური პარტიის ხეირიანად გათამაშება. ამიტომ ლიდერმა არა მარტო პოზიციის გათანაბრება მოახერხა, არამედ გარკვეულ უპირატესობასაც დაეუფლა. ახლა უკვე იოსელიანი იცავდა თავს შეუპოვრად. პაიკის დროებითი შეწირვით მან მაინც შეძლო მეტოქის მუქარის უვნებელყოფა და 45-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი დაზავდნენ.

ნონა გაფრინდაშვილისა და ელენა ახმილოვსკაიას პარტიაში ლაზიერის გამბიტი გათამაშდა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ცენტრში გამსვლელი პაიკი მიიღო და მისი უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ იგი თითოეულ სვლაზე ბევრს ფიქრობდა და თამაშის მეოთხე საათზე ცაიტნოტში მოექცა, მას, როგორც ჩანს, სიჩქარეში გამორჩა ახმილოვსკაიას განაპირა პაიკის წინსვლის შესაძლებლობანი. ამას ისიც დაემატა, რომ ამ კრიტიკულ პოზიციაში შეცდომაც დაუშვა, რის შემდეგაც მისი პოზიცია უიმედო აღმოჩნდა და 48-ე სვლაზე დათმო პარტია.

არანაკლებ ინტერესს იწვევდა თანამემამულეების — ქეთევან არახამიასა და ნანა ალექსანდრიას შეხვედრა. როცა ახალგაზრდა დიდოსტატმა მეტოქეს ეტლი შესწირა მის მეფეზე იერიშის მიტანის მიზნით, კომბინაციური თამაში იმდენად დაძაბულად წარიმართა, რომ იგი მოწინააღმდეგეებისაგან დიდ დაკვირვებას, რთული ვარიანტების სწრაფ გამოთვლას მოითხოვდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მეტოქენი ცაიტნოტში იყვნენ. გამოცდილი ნანა ელექსანდრია გაცილებით უკეთ გაერკვა ამ რთულ პოზიციაში და როცა ასე თუ ისე მიწყნარდა კომბინაციური ბრძოლა, მას მოგებისთვის საკმაოდ დიდი რეზერვები აღმოაჩნდა და 43-ე სვლაზე არახამიამ მორიგი გამარჯვება მიულოცა მეტოქეს.

მწვავედ დაიწყო აგნეშკა ბრუსტმანისა და ირინა ლევიტინას პარტია. თითქოს ძნელი ორთაბრძოლის კონტურებიც გამოიკვეთა, მაგრამ პოზიცია თანდათან განიმუხტა, გაიცვალა მრავალი ფიგურა და მეტოქეები იძულებულნი გახდნენ ქულა თანაბრად გაეყოთ.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს მხოლოდ ერთი პარტია გათამაშდა, რადგან ნანა იოსელიანი და ელენა ახმილოვსკაია თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. რაც შეეხება ირინა ლევიტინასა და ნონა გაფრინდაშვილის გადადებულ პარტიას, იგი თითქმის 4 საათს გაგრძელდა. როგორც ჭადრაკის მოყვარულებს ახსოვთ, ეს შეხვედრა ლენინგრადელი დიდოსტატის უპირატესობით გადაიდო. მაგრამ ამ მძიმე პოზიციის ანალიზის შემდეგ ნონას მიუგნია ყაიმის უტყუარი გზისთვის. ენდშპილში ლევიტინას ეტლი და პაიკი ჰყავდა მსოფლიოს ექსჩემპიონის კუსა და პაიკის წინააღმდეგ. ეს პოზიცია თეორიაში ცნობილია როგორც საყაიმო, მაგრამ ლენინგრადელი დიდოსტატი ჯიუტად ცდილობდა თავის მცირე უპირატესობის რეალიზაციას. მე-100 სვლაზე, როცა დაფაზე კვლავ აშკარად საყაიმო მდგომარეობა იყო, გაფრინდაშვილმა უხეში შეცდომა დაუშვა და იქვე დანებდა მეტოქეს. სხვათა შორის, ნონა გაფრინდაშვილის ასეთი უიღბლო სტარტი ძნელად თუ ვინმემ გაიხსენოს.

ამრიგად, VI ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ლიტინსკაია — 5 ქულა, ახმილოვსკაია — 4, იოსელიანი, ლევიტინა — 3,5-3,5, ალექსანდრია — 3, ბრუსტმანი — 2, გაფრინდაშვილი, არახამია — 1,5-1,5.

გუშინ მოჭადრაკე ქალებს დასვენების დღე ჰქონდათ. დღეს კი გაიმართება პირველი ტურის ბოლო, მე-7 ტურის შეხვედრები. ერთმანეთს ხვდებიან ლიტინსკაია-გაფრინდაშვილი, ახმილოვსკაია-ბრუსტმანი, ლევიტინა-არახამია, ალექსანდრია-იოსელიანი.

**თამაზ ხარაბაძე,**
**„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი.**

წყალტუბო.

# შანსები თანაბარია

**დღეს იწყება უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების I წრის II ტურის მატჩები**

**თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდმა, როგორც ცნობილია, კარგად ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტურის მატჩები. და აი, დღეს, ორკვირიანი შესვენების შემდეგ, პირველი წრის მეორე ტური იწყება. თბილისელი წყალბურთელები ბაქოში ასპარეზობენ.**

**ბაქოში** გამგზავრებამდე ქართველმა წყალბურთელებმა თბილისში საკონტროლო მატჩის გასამართავად მოსკოვის „უნივერსიტეტის" გუნდი მოიწვიეს. ამ ბოლო დროს ეს გუნდები, მიუხედავად იმისა, სატურნირო ცხრილში რომელ საფეხურზე არიან, ერთმანეთთან დიდი ინტერესით თამაშობენ და მატჩის ბედი საფინალო სასტვენამდე თითქმის გაურკვეველია ხოლმე. გამონაკლისი არც ამ გუნდების საკონტროლო შეხვედრა იყო, რომელიც სამიოდე დღის წინათ ვაკის საცურაო აუზში გაიმართა. იგი ძალზე მწვავედ და დაძაბულად ჩატარდა. მოსკოველებმა მინიმალური ანგარიშით — 10:9 გაიმარჯვეს.

მეორე ტურის წინ გამართული ეს საკონტროლო შეხვედრა ორივე გუნდისთვის მეტად სასარგებლო იყო. ერთსაც და მეორესაც, ისე, როგორც ყველა გუნდს, დაძაბული სამ-სამი მატჩი ელის.

თბილისელთა მეტოქეები იქნებიან კიეველი თანაკლუბელები, სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბისა (ცსკ ვმფ) და მასპინძელთა — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (კკფ) წყალბურთელები.

როგორი შანსები აქვთ თბილისელებს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად ძნელია.

თბილისელებმა, მართალია, შარშანდელ ჩემპიონატში კკფ-ის გუნდი თავისსავე „მინდორზე" დაამარცხეს, მაგრამ ძნელი საფიქრალია, რომ ბაქოელებმა შინ ზედიზედ მეორედ დათმონ შეხვედრა.

ქართველი წყალბურთელებისა და ცსკ ვმფ-ის წარმომადგენელთა შეხვედრაში მუდამ მედგარი, თანაბარი ბრძოლა იმართება. თბილისელებმა შარშან ცსკა ვმფ-ის წყალბურთელები ერთ შეხვედრაში დაამარცხეს, მაგრამ ცსკ ვმფ არ არის ის გუნდი, რომელიც ვინმესთან მეორე შეხვედრასაც დათმობს. ამასთან, ეს გუნდი ახლა საკავშირო ჩემპიონატში ერთპიროვნულად ლიდერობს.

რაც შეეხება კიეველ თანაკლუბელებს, მათთან თბილისელები ბოლო დროს, უფერულად იბრძვიან, მაგრამ ჩვენი წყალბურთელები უკრაინელთა გუნდზე პოტენციურად ძლიერები არიან.

ასე რომ, თბილისელთა და მისი მეტოქეების შანსები ერთმანეთთან შეხვედრებში, შეიძლება ითქვას, თანაბარია.

შეგახსენებთ, სატურნირო ცხრილში ახლა ასეთი მდგომარეობაა: ცსკა ვმფ — 10 ქულა, „დინამო" (მოსკოვი) — 9, „დინამო" (ალმაათა) — 8, „უნივერსიტეტი", „დინამო" (თბილისი) — 6-6, „დინამო" (კიევი), „დინამო" (ლვოვი)— 5-5, კკფ — 4, კჩფ (სევასტოპოლი) — 3, „მოსკვიჩი" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — 2-2, ასკ (მინსკი) — 0.

**სსრ კავშირის თასის გათამაშება სათხილამურო სპორტში**

# ბიატლონისტები კალგარს მიიჩქარიან...

**ამიტომ** იყო, რომ ორგანიზატორებმა საკავშირო თასის გათამაშების უკანასკნელი სტარტი ერთი დღით გადმოსწიეს. ეს ერთგვარ გარანტიას იძლეოდა უამინდობის შემთხვევაში მათ თვითმფრინავს არ დაეგვიანებინა თეთრ ოლიმპიადაზე.

მაშ ასე — ამანათრბენი 4X7,5 კილომეტრზე, ბაკურიანი, „იმერლების ველი".

ცხადია, ძირითადი ბრძოლა გამარჯვებისთვის ქვეყნის პირველ და მეორე ნაკრებს შორის გაიმართებოდა. ასეც მოხდა. ფინიშზე პირველი იყო მეორე გუნდი (ს. ჩეტკოვი, ი. კაშკაროვი, ა. პოპოვი, ფ. მედვედცევი) — 1:34.49 (0 საჯარიმო ქულა), მეორე ადგილზეა ქვეყნის პირველი ნაკრები (ნ. ხარიტონოვი, ა. ნეპეინი, ვ. დრაჩოვი, ს. ბულიგინი) — 1:35.46 (1 საჯარიმო ქულა), მესამეზე — საბჭოთა არმიის მეორე ნაკრები (ს. იდინოვი, ვ. კირიენკო, ს. ტარასოვი, ვ. ალიკინი) — 1:36.00 (0 საჯარიმო წრე).

— ბაკურიანში გამართული შეკრებით დიდად კმაყოფილი ვართ, — გვითხრა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, ოლიმპიადების ორგზის პრიზიორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. პრივალოვმა. — მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს ოლიმპიელთათვის, შეჯიბრებაც მაღალ დონეზე ჩატარდა, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა მთავარ მსაჯს, საკავშირო კატეგორიის არბიტრს იური ოგანეზოვს — ვფიქრობ, რომ ჩვენი ბიჭები თავს კალგარშიც არ შეირცხვენენ. პირველ რიგში ეს ამანათრბენის მონაწილეებს ეხება. საბჭოთა ნაკრებმა, დაწყებული 1968 წლის მეათე თამაშებიდან, ხომ ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედლები. ყველაფერს კალგარის სტარტები გვიჩვენებს!

გუშინ საბჭოთა კავშირის ბიატლონისტთა ნაკრები ბაკურიანიდან გაემგზავრა, დღეს კი აქ ქვეყნის ჩემპიონატი დაიწყება ორჯიდში.

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
**„ლელოს" კორ. (ტელეფონით).**
ბაკურიანი.

# გოლები გააქვს პროფესორს

**უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა**

როგორც ვიუწყებოდით, თბილისში მიმდინარეობს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა.

მინიფეხბურთში, რომელიც თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში ტარდება, ორივე ქვეჯგუფში უკვე გაიმართა 3 ტური. პირველ ქვეჯგუფიდან ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება გაინაღდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა. დაძაბულად მიმდინარეობს შეჯიბრებები მეორე ქვეჯგუფში, სადაც ნახევარფინალში გასვლის პრეტენდენტები არიან — სპი, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტისა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები.

ბომბარდირთა სიას სათავეში ჩაუდგა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი მიქელაძე, რომელმაც ჯერჯერობით თერთმეტი ბურთი გაიტანა. ტექნიკური თამაშით მოწონებას იმსახურებს 60 წელს მიღწეული, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის პროფესორი თეიმურაზ ჭანტურია. იგი ყველა შეხვედრაში შეუცვლელად თამაშობს, გოლებიც გააქვს (3 ბურთი) და, რაც მთავარია, საუცხოო გადაცემებით ამარაგებს თავისი გუნდის წევრებს.

საინტერესოდ მიმდინარეობს შეჯიბრებები ფრენბურთში, ჭადრაკში, ცურვასა და ტყვიით სროლაში.

ფინალური შეჯიბრებები გაიმართება 7 თებერვალს. ფეხბურთელები ისპარეზებენ „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში. 17 საათზე ფინალური მატჩია, შემდეგ იქვე მოეწყობა სპარტაკიადის საზეიმოდ დახურვის ცერემონიალი.

**არდევან ნიკოლაიშვილი,**
**პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთისა და სპორტულ თამაშობათა სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი, მთავარი მსაჯი ფეხბურთში.**

**ს უ რ ა თ ზ ე: საჭადრაკო დაფებს უსხედან უცხო ენათა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მოჭადრაკეთა გუნდები.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



# საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის ნაკრები — დაუმარცხებლად

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

**II ჯგუფი.** გათამაშების ლიდერი — იუგოსლავიის ნაკრები ბულგარეთის ქალაქ პაზარჯიკში თამაშობდა. ბულგარელებმა შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს და საკმაოდ დიდი სხვაობითაც გაიმარჯვეს — 97:74 (44:40). შვეციამ გფრ-ის გუნდი დაამარცხა — 92:89 (50:46).

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 4 | 3 | 1 | 445-375 | 7 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 1 | 369-388 | 7 |
| გფრ | 4 | 1 | 3 | 373-384 | 5 |
| შვეცია | 4 | 1 | 3 | 349-389 | 5 |

**I ჯგუფი:** ამ ჯგუფშიც ორი შეხვედრა გაიმართა. საბერძნეთის კალათბურთელებმა ინგლისის ნაკრებს აჯობეს 84:76 (38:42), ჰოლანდიამ კი ჩეხოსლოვაკიის გუნდს მოუგო 89:67 (38:44). აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში დამარცხებულებმა პირველი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 4 | 0 | 382-280 | 8 |
| ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 330-323 | 7 |
| ინგლისი | 4 | 1 | 3 | 320-385 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 0 | 4 | 323-367 | 4 |

**IV ჯგუფი.** მეოთხე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა კალათბურთელებმაც. ამჯერად ისინი საფრანგეთის ნაკრებთან თამაშობდნენ. მატჩის პირველი ნახევარი მწვავე ბრძოლით აღინიშნა და იგი საბჭოთა გუნდმა ერთი ქულის უპირატესობით (44:43) მოიგო. ლიდერის უპირატესობა უფრო შესამჩნევი გახდა მეორე ნახევარში. სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა 87:71 და სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი დაიმკვიდრა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენებს ჯგუფური ტურნირის არც ერთი მატჩი არ წაუგიათ.

**ცელეცაივა - მკითხველი**

**ბერლინი.** მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე (რომში) მიღებული ტრავმის შემდეგ მსოფლიო რეკორდსმენი ჰაიკე დრეჰსლერი ახლახან ჩადგა პირველად სასტომ სექტორში. გდრ-ის უძლიერეს მძლეოსანთა ზამთრის შეჯიბრებაში მან კვლავ პირველი ადგილი დაიკავა — 705 სანტიმეტრი დასძლია. 24 წლის მსოფლიო რეკორდსმენი თავს კარგად გრძნობს. მას გადაწყვეტილი აქვს ოლიმპიურ სეზონში მეტი ყურადღება დაუთმოს სიგრძეზე ხტომას, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ დრეჰსლერმა ძალები 200 მეტრზე რბენაშიც სცადოს (აქ იგი მსოფლიო რეკორდის ერთ-ერთი თანაავტორია), სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა 800 მეტრზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა კრისტინ ვაჰტელმა — 1.58,53.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მეხუთე ტირაჟებისა, რომელიც 31 იანვარს შედგა.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** გაიყიდა 1 823781 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (52 ბარათი) მოგება 1308 მანეთია, ოთხისთვის (3054) — 26, სამისთვის (42034) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** გაიყიდა 17 584356 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (43 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (7289) — 113, სამისთვის (275833) — 5.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 68435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05174